34/05
5-24

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და მლეხთა მთავრობისა.

| | | |
|---|---|---|
| 1925 წლის თებერვლის 15. | № 1. მანიფესტებზა პირველი | გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სკანონმდებლო კომისიის მიერ. |

## შინაარსი:


მუხ. 324. იმ სარკინისგზო ქონების რეგისტრაციის შესახებ, რაც კერძო პირებისა და ორგანიზაციების არაკანონიერ მფლობელობაშია.

„ 325. ტერიტორიალურ ნაწილების ცვალებადი შედგენილობის წევრთა-ლარმიელთა და საგასაწევო ასაკმიუღწეველთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ.

„ 326. სახელმწიფო სამონადირო გამოსაღების რაოდენობის დაწესების შესახებ.

„ 327. ა/კ. ს. ფ. ს. რ. მთავრობის კანონთა და განკარგულებათა გამოქვეყნების წესის შესახებ.

„ 328. ფართლეულობის საბითუმი და ცალობითი ფასების შესახებ.

„ 329. მუშათა და გლეხთა არმიისა და ფლოტის უმაღლეს საკომანდო პირთა საპატიო რევოლიუციონური იარაღით დაჯილდოვების შესახებ.

„ 330. მუშა-ქალის საერთაშორისო დღისა და ყრმათა საერთაშორისო დღის დღესასწაულის შესახებ და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ს. ს. რ. კავშირის ძირითადი კანონის მიღების დღის დღესასწაულის თარიღზე—1924 წ. სექტემბრის 10-ს თარიღით გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.

„ 331. ა/კ. ს. ფ. ს. რ. იმ ქალაქების ნუსხის შესახებ, სადაც შემოღებულია სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევა 1924-1925 წლისათვის.

„ 332. საწარმოთა და დაწესებულებათა მიერ შრომის სტატისტიკური ცნობების თავის დროზე წარდგენის შესახებ.

„ 333. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის შექმნის შესახებ.

„ 334. სამხედრო-საზღვაო ქონების გაქირავების შესახებ.

„ 335. არა-სრული თვისათვის სამუშაო ხელფასის გამოანგარიშების წესის შესახებ.

„ 336. შრომის კანონთა კოდექსის 47 მუმლის „ე“ პუნქტისა და 68 მუხ. შეფარდების წესის შესახებ.

„ 337. კეროსინის ცალობითი ფასის შესახებ.

„ 338. ლენინის გარდაცვალების დღეს სახელმწიფო დროშის დაწევის შესახებ.

„ 339. მოუსვლობისაგან დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებისათვის შემოღებული ერთდროული გადასახადის განზორციელების ვადების განსაზღვრის შესახებ.

„ 340. ლუდისა, თაფლისა, კვასისა, ხილეულისა და ხელოვნური მინერალური წყლის აქციზის შეცვლის შესახებ.

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

„ 341. ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროებში ქონებული სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა სახელდახელო ანგარიშების დოკუმენტების საღერძო გამოსაღებისაგან განთავისუფლების შესახებ.
„ 342. სათამაშო ბაღალდის წარმოებისათვის სახელმწიფო მონოპოლიის დაწესების შესახებ.
„ 343. შრომის კანონთა კოდექსის 79 მუხ. შეფარდების წესის შესახებ.
„ 344. ა/კ. ს. ფ. ს. რ—ს ფარგლებში სახლვარგარეთიდან სავალიუტო ფასეულობის შემოტანისა და გატანის წესის შესახებ.
„ 345. საუბრო და სარაიონო (სავოლოსტო) აღმასრულებელი კომიტეტების საფინანსო-საგადასახადო ნაწილების შესახებ.
„ 346. სათამასუკო მორატორიუმის დამყარების წესის შესახებ.
„ 347. ხილეულ-ყურძნეულის სპირტის რეკტიფიკაციისათვის სახელმწიფო მონოპოლიის შემოღების შესახებ ა/კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე.
„ 348. ქალაქ ბათუმში სავაჭრო-სამრეწველო სადგომებზე ადგილობრივი გადასახადის დაწესების შესახებ.
„ 349. ლუდისა, თაფლისა, კვასისა, ხილეულისა და ხელოვნური მინერალური წყლის აქციზის შეცვლის თაობაზე ა/კ. ს. ფ. ს. რ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1925 წ. იანვრის 19-ს თარიღით გამოცემული დადგენილების სამოქმედოდ შემოღებისშესახებ.
„ 350. სოციალური დაზღვევის საპენსიო და დახმარების ნორმების შესახებ.

---

# დადგენილება № 68 ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. ნოემბრის 27.

**324. იმ სარკინისგზო ქონების რეგისტრაციის შესახებ, რაც კერძო პირთა და ორგანიზაციათა არა-კანონიერ მფლობელობაშია.**

§ 1. ყველა კერძო პირი და ორგანიზაცია, რომლის სამყოფელი ადგილიც რკინისგზის ხოლის მიჯნიდან ხუთი ვერსის მანძილის მიდამოშია გზის ორივე მხრით, მოვალეა ორი კვირის განმავლობაში ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან მოახდინოს ადგილობრივ მილიციაში რეგისტრაცია იმ სარკინისგზო ქონებისა, რაც მის ხელშია და რომელი ქონების საგნებიც ქვევით არის დაწვრილებით ჩამოთვლილი.

§ 2. სარკინისგზო ქონების საგნები, რასაც რეგისტრაცია უნდა ექნეს, შემდეგია:

ა) რკინისგზის სასიგნალო სანათი ხელსაწყო და მისი ნაწილები, სახელდობრ: ბენდერის საისრო ფანარი, სემაფორისა, დისკისა და ბუფერის ფანარი; ბ) რელსის ზედები; გ) რელსის ქვესადე; დ) რელსის ომბოხა; ე) რელსის სშვალი; ვ) სემაფორის ბაგირი.

**შენიშვნა.** მე-2 §-ს „ბ“, „გ“, „დ“, „ე“, და „ვ“-ს პუნქტებში აღნიშნული საგნები—ერთ ფუთზე მეტი რაოდენობისა.

§ 3. ადგილობრივი მილიცია სარეგისტრაციო აქტის ასლს გაუგზავნის ამიერკავკასიის რკინ. გზ. სამიართველოს საგზაო განყოფილებას.

უკეთუ ვისმე ზემოდასახლებულ პირთაგან ან ორგანიზაციათაგან, აღნიშნული ორი კვირის ვადის გასვლის შემდეგ, აღმოჩნდება არა-რეგისტრაციაქმნილი სარკინისგზო ქონება (რომლის საგნებიც ზემოთ არის ჩამოთვლილი,) იგი მილიციის მიერ აღმოჩენისათანავე ჩამოერთმევა ძას და გადაეცემა ამიერკავკასიის რკინისგზას; ხოლო ის პირი, ვისაც ქონება აღმოაჩნდება, მიცემული იქნება პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით, როგორც ნაქურდლის წინასწარი შეცნობით ყიდვისათვის.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლ. სახალხო
კომისართა საბჭოს მდივნის თანამდ. დროებ. აღმ. **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 768 №-ში 1925 წ. იანვრის 1-ს.

---

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

1925 იანვრის 5.

**325. ტერიტორიალური ნაწილების ცვალებადი შედგენილობის წითელარმიელთა და საგასაწვევო ასაკ-მიუღწეველთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ.**

რათა წინასწარვე თავიდან აცილებულ იქნეს ის შემთხვევა, რომ წითელ არმიაში მორიგი გაწვევის დროს წერა-კითხვის უცოდინარნი არ შევიდნენ, აგრეთვე, რათა ტერიტორიალური ნაწილების წითელარმიელთა პოლიტიკური შეგნება და საომარი უნარიანობა სათანადო სიმაღლემდე იქნეს მიღწეული, და თანახმად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 წ. აგვისტოს 8-ს თარიღით გამოცემული დადგენილებისა, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ყოველმა წერა-კითხვის უცოდინარმა საგასაწვევო ასაკმიუღწეველმა პირმა, რომელიც ჯარში გაწვევამდე სამხედრო მომზადებას იძენს, აგრეთვე ტერიტორიალური ნაწილების ცვალებადი შედგენილობის ყოველმა წერა-კითხვის უცოდინარმა წითელარმიელმა მონაწილეობა უნდა მიიღოს სავალდებულო სასკოლო მეცადინეობაში იმ ვადაზე, რაც დადგენილ იქნება კავკასიის წითელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროშიანი არმიის რევოლიუციონური სამხედრო საბჭოს მიერ, ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

2. საგასაწვევო ასაკმიუღწეველთა და ტერიტორიალური ნაწილების ცვალებადი შედგენილობის წითელარმიელთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის საჭირო ხარჯის ის ნაწილი, რაც დასჭირდება სასკოლო სადგომების შოვნას, ამ სადგომების მოწყობას, გათბობას, განათებას და სხ. სამეურნეო საქმეს, აგრეთვე მასწავლებელთა პერსონალის შენახვას, გაღებულ უნდა იქნეს ადგილობრივი საღსრიდან, რაც სპეციალურად საამისოდ ეძლევათ აღმასრულებელ კომიტეტებს სახალხო განათლების განყოფილებათა ხარჯთ-აღრიცხვებით. ხოლო სასწავლო ხელსაწყოთათვის საჭირო ხარჯი მიეწეროს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოს რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტს განათლების სახალხო კომისარიატის ხარჯთ აღრიცხვით.

3. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომისართა საბჭომ უნდა გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 772 №-ში 1925 წ. იანვრის 7-ს.

---

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1925 წ. იანვრის 5.

## 326. სახელმწიფო სამონადირო გამოსაღების რაოდენობის დაწესების შესახებ.

1. ყველა მონადირეს, რომელსაც უფლება აქვს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში ინადიროს ცეცხლის-მფრქვეველი იარაღით ან სხვ. ნებადართული საშუალებით, შეეწერება სახელმწიფო გამოსაღები მანეთნახევრის რაოდენობით წელიწადში.

2. ამ გამოსაღებს გადაახდევინებენ სათანადო რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატინ ორგანოები, ვიდრე გაცემულ იქნებოდეს ნადირობის მოწმობა, და შეიტანენ სახელმწიფო შემოსავლად საშემოსავლო აღრიცხვის სათანადო პარაგრაფში.

3. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უფლება აქვთ დაიწესონ ხოლმე ადგილობრივი ფინანსების დროებითი დებულებით დადგენილი სახელმწიფო სამონადირო გამოსაღების ზედნართი არა უმეტეს 1—ლ მუხ. აღნიშნული განაკვეთის 50 პროც.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 771 №-ში 1925 წ. იანვრის 7-ს.

---

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოსი.

1925 წლის იანვრის 5.

## 327. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობის კანონთა და განკარგულებათა გამოქვეყნების წესის შესახებ.

1. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მისი პრეზიდიუმისა და ამიერკავკასის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ყველა დეკრეტი და დადგენილება, გარდა ამა დადგენილების მე-2 მუხლში ჩამოთვლილ კანონდებულებათა. მიუხედავად მათი გამოქვეყნებისა იმ წესით, რაც გათვალისწინებულია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრ. კომიტეტისა და ა/კ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წლის მაისის 7-ს თარიღით გამოცემულ დეკრეტში (ა/კ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის კანონთა და განკარგ. კრებული 1923 წ. № 8, მუხ. 98), გამოქვეყნებულ უნდა იქნეს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულში; ამასთანავე საკანონმდებლო ხასიათის მქონე დადგენილებანი გამოქვეყნდება აღნიშნული კრებულის 1-ლ განყოფილებაში, ხოლო დანარჩენი დადგენილებანი მე-2 განყოფილებაში.

**შენიშვნა.** პირველი განყოფილება „ამიერკავკასიის სოც.-ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულისა“ იბეჭდება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუციის 21 მუხლში აღნიშნულ ოთხ ენაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოს რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონება და განკარგულებათა კრებულში არ გამოქვეყნდება:

ა) დადგენილება, რომლის გამოუქვეყნებლობის შესახებ სპეციალურ განკარგულებას გასცემს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, მისი პრეზიდიუმი, ა/კ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო და უმაღლესი ეკონომიური საბჭო, მათი თავმჯდომარენი, ა/კ. ცენტრალური აღმასრ. კომიტეტის მდივანი და ა/კ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველი.

ბ) ა/კ, ცენტრალური აღმასრ. კომიტეტისა, მისი პრეზიდიუმისა და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი და უმაღლესი ეკონომიურ საბჭოსი ადმინისტრატიული და სამეურნეო-ადმინისტრატიული ხასიათის დადგენილება, რომლის გამოქვეყნებაც, როგორც არაზოგადი მნიშვნელობის მქონე დადგენილებისა, მე-3 მუხლის მიხედვით ზედმეტად იქნება ცნობილი.

3. ესა თუ ის დადგენილება მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტში აღნიშნული კატეგორიას მიეკუთვნება: ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრ. კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის დადგენილება—ა/კ. ცენტრალური აღმასრ. კომიტეტის მდივნის განკარგულებით, ხოლო სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დადგენილება—ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ან უმაღლესი ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველის განკარგულებით.

4. იმის შესახებ, რომ დადგენილება გამოქვეყნებულ უნდა იქნეს მე-2 მუხლის თანახმად,—ოქმს, დადგენილების დედანს, გასაგზავნ ასლს და ამონაწერს გაუკეთდება სათანადო წარწერა, სახელდობრ: 1-ლ მუხლში აღნიშნული დეკრეტისა და დადგენილებისათვის—„გამოქვეყნებულ უნდა იქნეს კანონთა კრებულში“, მე-2 მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნული დეკრეტისა და დადგენილებისათვის—„არ გამოქვეყნდება“ და მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტში აღნიშნული დადგენილებისათვის—„გამოქვეყნება საჯაღდებულო არ არის“.

**შენიშვნა.** ა/კ. ცენტრალური აღმასრ. კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტისა და დადგენილების გამოქვეყნება, რაც გათვალისწინებულია ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წლის მაისის 7-ს თარიღით გამოცემულ დეკრეტში,—მოხდება ამა მუხლის წესისამებრ.

5. კანონთა გამოქვეყნების გამგებლობა დაეკისრება ა/კ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის საკანონმდებლო კომისიასთან არსებულ კანონთა გამოქვეყნების განყოფილებას აღნიშნული კომისიის თავმჯდომარის საერთო მეთვალყურეობით.

6. ყველა გამოსაქვეყნებელ დეკრეტსა და დადგენილებას ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მდივანი ან ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს (უმაღლესი ეკონომიური საბჭოს) საქმეთა მმართველი გაუგზავნის კანონთა გამოქვეყნების განყოფილების გამგეს, რომელიც სათანადო ღონისძიებას იხმარს, რათა მიღებული დეკრეტი და დადგენილება თავის დროზე იქნეს გამოქვეყნებული, როგორც იმ ოფიციალურ ორგანოში, რაც გათვალისწინებულია

ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წლის მაისის 7-ს თარიღით გამოცემულ დეკრეტში, ისე ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულში.

7. მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტში აღნიშნულ დადგენილებათა შესახებ საინფორმაციო შენიშვნის მოთავსება ბეჭდვითი სიტყვის პერიოდულ თუ არაპერიოდულ ორგანოში შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ამ დადგენილებას ექნება საამისო სანებართვო ვიზა ა/კ. ცენტრალური აღძასრ. კომიტეტის მდივნისა ან ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველისა.

8. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის უმაღლესი ორგანოების მიერ დამტკიცებული ყველა წესდება სააქციო საზოგადოებისა (საპაიო ამხანაგობისა), საკრედიტო დაწესებულებისა, ტრესტისა, სინდიკატისა, კოოპერატიული შენაერთისა და აგრეთვე იმ შენაერთისა, რომელიც მოგებას არ მისდევს,—აუცილებლად გამოქვეყნებულ უნდა იქნეს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულში (მეორე გამყოფილება).

არა უგვიანეს შვიდი დღისა, ზემოაღნიშნულ წესდებათა დამტკიცების შემდეგ, სათანადო საზოგადოებისა და შენაერთის დამფუძნებელნი ან დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელნი წარუდგენენ წესდების შემოწმებულ ასლს, პუბლიკაციისათვის დაწესებულ სასყიდელთან ერთად, კანონთა გამოქვეყნების განყოფილების გამგეს.

**შენიშვნა.** სასყიდლის რაოდენობას წესდების გამოქვეყნებისათვის განსაზღვრავს ამიერკავკასიის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მდივანი.

9. საუწყებო განკარგულება და ინსტრუქცია, რომლის გამოქვეყნებაც ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულში გათვალისწინებულია ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტისა, მისი პრეზიდიუმისა და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ან უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დადგენილებით, გაეგზავნება უწყების ხელმძღვანელის მიერ კანონთა გამოქვეყნების განყოფილების გამგეს.

კანონთა გამოქვეყნების განყოფილების გამგე განიხილავს განკარგულებას ან ინსტრუქციის შინაარსს და უკეთუ აღმოაჩენს, რომ ეს განკარგულება თუ ინსტრუქცია ეწინააღმდეგება მომქმედ კანონებს, უარყოფს, საკანონმდებლო კომისიის თავმჯდომარის ნებართვით, გამოქვეყნებას და თანაც დაწვრილებით აღნიშნავს უარყოფის საფუძველს.

გამოქვეყნების უარყოფის გამო შეტანილ საჩივარს გადასწყვეტს ა/კ. ცენტრალური აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარე.

განკარგულების თუ ინსტრუქციის მიზანშეწონილების საკითხს და აგრეთვე მათ რედაქციას განყოფილება არ შეეხება.

10. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულის თვითეული ნომრის გამოსვლისთანავე კრებულის ეკზემპლიარები გაეგზავნება ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმს, ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლეს ეკონომიურ

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოს, ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატებს და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრ. კომიტეტებს და სახალხო კომისართა საბჭოებს; ეს უკანასკნელნი მიიღებენ სათანადო ღონისძიებას, რათა აღნიშნული კრებული გაეგზავნოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრ. აღმასრ. კომიტეტებს და სამაზრო და სარაიონო (საუბნო) კომიტეტებს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის სოც.-ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი ა. **შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 773 №-ში 1925 წ. იანვრის 7-ს.

# დადგენილება № 23 ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

(ვაჭრობისა და სავაჭრო პოლიტიკის მოწესრიგების სამართველოსათვის)

1925 წ. იანვრის 5.

## 328. ფართლეულობის საბითუმო და ცალობითი ფასების შესახებ.

შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების თაობაზე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1924 წ. იანვრის 26 თარიღით გამოცემული დაოგენილების მე-3 მუხ „გ“ ლიტერის თანახმად ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თავისი წარსული წლის ოქტომბრის 20-ს თარიღითა და 16 №-რით გამოცემული დადგენილების გასაუქმებლად ადგენს:

§ 1. საფეიქრო ნაკეთობის საბითუმო გაყიდვა ყველა იმ სახელმწიფო ორგანოს და კოპერატიული შენაერთის ტფილისსა, ბაქოს და განჯის საწყობებში, რომელიც ფართლეულობას ბითუმად გასცემს ხოლმე, უნდა სწარმოებდეს სათანადო ტრესტების წარსული წლის აგვისტოს 9-ს პრეისკურანტების ფასებზე შემდეგი რაოდენობის წანამატით:

### კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობისათვის.

ტრესტების წარს. წლ. აგვისტოს 9-ს პრეისკურანტების ფასების წანამატის %

| | ბამბისა. | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კერძოთათვის

| | ტრუსტების წარს. წლ. | | | აგვისტოს 9-ს | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | პრეისკურანტების | | | ფასების | წანამატის % |
| ბაქო . . . | 9,25% | 6 | 1% | 7. | 4 | 5 | 8,5 | 5,5. |
| ტუილისი . | 9,25 | 6,5 | 1,5 | 7,5 | 4,5 | 5 | 8,5 | 5,5, |
| განჯა. . . | 9,25 | 6,5 | 1,5 | 7,5 | 4,5 | 5 | 8,5 | 5,5. |

§ 2. საბითუმო გაყიდვა ყველა იმ სახელმწიფო ორგანოს და კოოპერატიული შენაერთის საპროვინციო განყოფილებათა, კონტორათა და სააგენტოთა საწყობებში, რომელიც ფართლეულობას ბითუმად გასცემს ხოლმე, უნდა სწარმოებდეს სელის საქონლისათვის 1 პროც. ზედნართით, ხოლო დანარჩენისათვის 0,5 პროცენტისა ამა დადგენილების 1-ლ §-ში დაწესებულ წანამატზე.

§ 3. საფეიქრო ნაკეთობის წვრილი საბითუმო გაყიდვა ყველა სახელმწიფო ორგანოს და კოოპერატიული ორგანიზაციის ტფილისისა, ბაქოს და განჯის სას წყობებში უნდა სწარმოებდეს ორი პროცენტის წამატებით ამა დადგენილების 1-ლ §-ში დაწესებულ ფასებზე; ხოლო აღნიშნული ორგანიზაციების საპროვინციო განყოფილებათა, კონტორათა და სააგენტოთა საწყობებში-უნდა სწარმოებდეს ორი პროცენტის წამატებით ამა დადგენილების 1-ლსა და მე-2 §-ში დაწესებულ ფასებზე.

**შენიშვნა.** საფეიქრო ნაკეთობის წვრილ საბითუმო გაცემისათვის დაწესებულ იქნეს შემდეგი ფარგალი: ბამბეულ ჯგუფი ორი ნაჭრიდან — 2000 მან. ღირებულებამდე; მაუდისა და კამვოლის საქონელი — ერთი ნაჭრიდან — 1.000 მან. ღირებულებამდე; სელის საქონელი — ერთი ნაჭრიდან — 750 მან. ღირებულებამდე.

§ 4. ცალობითი გაყიდვა სახელმწიფო ორგანოებისა და კოოპერატიული ორგანიზაციების სავასაცემო ადგილებსა და დუქნებში მთლად ა/კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე უნდა სწარმოებდეს ამა დადგენილების 1-სა და მე-2 §-ს თანახმად გამოანგარიშებულ ფასებზე შემდეგი უკიდურესი ზედნართის წამატებით:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **სახელწოდება** | ქალაქსა და ა/კ. რკ. გზ. ხაზის გასწვრივ მდებ. ადგილ. | ა/კ. რკ. გზ. ხაზიდან 25 ვერს-დე | 50 ვერს.-დე | 50 ვერს. მეტად. |
| ყოველგვარი საფეიქრო ნაკეთობა . . . . . | 19% | 20% | 21% | 22% |

§ 5. ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებმა ა/კ. ს. ფ. ს. რ—ს შედენილობაში შემავალ რესპუბლიკებში და მათმა ადგილობრივმა ორგანოებმა მეთვალყურეობა უნდა იქონიონ ამა დადგენილების სისწორით შესრულებისათვის.

§ 6. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

§ 7. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახ. კომის. მოადგილე **გამყრელიძე.**
ვაჭრობის მოწესრიგების სამმართვ. უფროსი **სტეფანიანი.**

საქმეთა მმართველი **ეირანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 774 №-ში 1925 წ. იანვრის 9-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

1925 წ. იანვრის 5.

**329. მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და ფლოტის უმაღლესი საკომანდო შემადგენლობის პირთა საპატიო რევოლიუციონური იარაღით დაჯილდოების შესახებ.**

ამიერკავკასიის ცენტრატური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

გამოქვეყნებულ იქნეს ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1924 წ. დეკემბრის 12-ს თარიღის შემდეგი დადგენილება—„მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და ფლოტის უმაღლესი საკომანდო შედგენილობის პირთა საპატიო რევოლიუციონური იარაღით დაჯილდოების შესახებ“.

ამერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

# დადგენილება ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

**მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და ფლოტის უმაღლესი საკომანდო შემადგენლობის პირთა საპატიო რევოლიუციონური იარაღით დაჯილდოების შესახებ.**

სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ—მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და ფლოტის უმაღლესი საკომანდო შედგენილობის პირთა დაჯილდოების შესახებ—1920 წ. აპრილის 8-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის გასაუქმებლად—ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. საპატიო რევოლიუციონური იარაღი, როგორც უაღრესი ჯილდო, მიეცემა უმაღლეს უფროსთაგანს განსაკუთრებული საბრძოლო წარჩინებისათვის მომქმედ არმიაში.

2. საპატიო რევოლიუციონურ იარაღად ითვლება:

ა) ხმალი (კორტიკი) მოოქროვებულის ტარით, რომელზედაც დაკრულია წითელი დროშის ორდენი;

ბ) რევოლვერი, რომლის ტარზედაც დაკრულია წითელი დროშის ორდენი და ვერცხლის წარწერა: „პატიოსან მეომარს მუშათა და გლეხთა არმიისა (ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფლოტისა) ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისაგან, 19.... წ.".

3. საპატიო რევოლიუციონური იარაღის მიცემის უფლება აქვს ს. ს. რ. კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, მის პრეზიდიუმს და ს. ს. რ. კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს, რომელნიც განახორციელებენ ამ უფლებას თავისი თაოსნობით, ან ფრონტების თუ არმიების რევოლიუციონური სამხედრო საბჭოების წარდგენით.

4. წარდგენა—საპატიო რევოლიუციონური იარაღღით დაჯილდოებისათვის—განხორციელდება ს. ს. რ. კავშირის რევოლიუციონური სამხედრო საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავჯდომარე **მ. კალინინი.**
ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. ენუქიძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1924 წ. დეკემბრის 12

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 774 №-ში 1925 წ. იანვრის 9-ს.

---

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

1925 წ. იანვრის 25.

**330. მუშა-ქალის საერთაშორისო დღისა და ყრმათა საერთაშორისო დღის დღესასწაულის შესახებ და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ს. ს. რ. კავშირის ძირითადი კანონის მიღების დღის დღესასწაულის თაობაზე - 1924 წ. სექტემბრის 10-ს თარიღით გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მუშა-ქალთა საერთაშორისო დღის დღესასწაული გადახდილ იქნეს მარტის თვის პირველ კვირა-დღეს; ა/კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიის იმ ნაწილებში, კი სადაც ყოველკვირეულ დასვენების დღედ პარასკევია,—მარტის თვის პირველ პარასკევს.

2. ყრმათა საერთაშორისო დღის დღესასწაული გადახდილ იქნეს სექტემბრის თვის პირველ კვირა-დღეს; ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ტერიტორიის იმ ნაწილებში კი, სადაც ყოველკვირეული დასვენების დღედ პარასკევია,—სექტემბრის თვის პირველ პარასკევს.

3. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წ. სექტემბრის 10-ს დადგენილებას ს. ს. რ. კავშირის ძირითადი კანონის (კონ-

№ Leqsoqi

სტიტუციის) მიღების დღის დღესასწაულის შესახებ („ზარია ვოსტოკას“-ს 703 №-რი 1924 წ. ოქტომბრის 15-სა) დაემატოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა.

**შენიშვნა.** ა/კ. ს. ფ ს. რ. ტერიტორიის იმ ნაწილებში, სადაც ყოველკვირეულ დასვენების დღედ პარასკევია, ს. ს. რ. კავშირის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) მიღების დღის დღესასწაული გადახდილ იქნეს ივლისის თვის პირველ პარასკევს.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**
ამიერკავკასიის ცენტრალური ღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 774 №-ში 1925 წ. იანვრის 9-ს.

---

# დადგენილება № 1 ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო

1925 წ. იანვრის 5.

**331. ა/კ. ს. ფ. ს. რ. იმ ქალაქთა ნუსხის შესახებ, რომლებშიაც შემოღებულია სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევა 1924—1925 წლისათვის.**

ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—ა/კ. ს. ფ. ს. რ. ქალაქებში 1924—1925 წლისათვის სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის თაობაზე—1924 წ. ნოემბრის 27-ს თარიღითა და 63 №-ით გამოცემული („ზარია ვოსტოკა“-ს 743 №-რი 1924 წ. დეკემბრის 3-სა) დადგენილების მე-3 მუხლის 1-ლი შენიშვნის თანახმად ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

შემოღებულ იქნეს სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევა ა/კ. ს. ფ. ს. რ. შემდეგ ქალაქებში: საქართველოს ს. ს. რესპუბლიკაში—ტფილისსა, ქუთაისსა, სუხუმსა, ბაათუმსა და ფოთში; აზერბაიჯანის ს. ს. რესპუბლიკაში—ბაქოსა, განჯასა და ნუხაში და სომხეთის ს. ს. რესპუბლიკაში—ერევანსა და ლენინაკანში.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს მდივნის თან. დრ. ალმ. **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 775 №-ში 1925 წ. იანვრის 10-ს.

---

# დადგენილება № 2 ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1925 წ. იანვრის 5.

**332. საწარმოთა და დაწესებულებათა მიერ შრომის სტატისტიკური ცნობების თავის დროზე წარდგენის შესახებ.**

რადგანაც შემჩნეულია, რომ საწარმონი და დაწესებულებანი თავის დროზე არ ადგენენ ცნობებს შრომის შესახებ (მუშა-ძალის მოძრაობისა, სამუშაო ხელფასისა, შრომის ნაყოფიერებისა და სხვ. ბლანკები), ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყველა საწარმო და დაწესებულება, რომელიც ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში არის, ვალდებულყოფილ იქნეს—წარუდგინოს ხოლმე სათანადო ორგანოებს ცნობები შრომის შესახებ მათთვის დადგენილ ვადებზე.

2. შრომის ინსპექციამ, უკეთუ აღმოჩენილი იქნება წარუდგენლობა დაწესებულ ვადაზე ცნობებისა შრომის შესახებ, სასამართლოს წესისამებრ პასუხისგებაში უნდა მისცეს საწარმოს და დაწესებულების პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლის თანახმად.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს მდივნის თან. დრ. აღმ. **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 775 1-ში 1925 წ. იანვრის 10-ს.

---

# დადგენილება № 3 ა/კ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1925 წლის იანვრის 5.

**333. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის შესახებ.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად დაარსდება განსაკუთრებული ფონდები—ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური—საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს ს. ს. რესპუბლიკისა, სომხეთის ს. ს. რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის ს. ს. რესპუბლიკისა,—ა. კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ტერიტორიაზე არსებულ ყველა ტრესტისა და სახელმწიფო სავაჭრო და სამრეწველო საწარმოს მოგების პროცენტული ანარიცხიდან და აგრეთვე იმ პროცენტიდან, რაც მიღებულ იქნება ფონდების მიმდინარე ანგარიშზე მოთავსებით ან ამ ფონდების საპროცენტო ქაღალდებში მოთავსებით.

2. რაოდენობა იმ ანარიცხისა, რაც მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდში გადადის, ყოველწლიურად განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ როგორია ტრესტებისა და სახელმწიფო სავაჭრო საწარმოთა ფინანსიური მდგომარეობა, შრომის ნაყოფიერება, მუშათა რიცხვობრივი შედგენილობა და სხვა პირობები; ხოლო აღნიშნული ანარიცხის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წმინდა მოგების 10 პროც.

ანარიცხის რაოდენობა განისაზღვრება და გადარიცხვა მოხდება ბალანსების განხილვისა და სახელმწიფო საწარმოთა მოგების განაწილების წესით.

3. ანარიცხიდან მიღებული საერთო თანხა განაწილდება ყველა ფონდებ შორის თანახმად ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებისა.

4. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდი მოხმარდება იმ ღონისძიებათ, რაც აღნიშნულია მე 5 მუხლში და რაც განხორციელებულ უნდა იქნეს მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

5. ფონდის სახსარი მოხმარდება: ა) საბინაო საჭიროების დასაკმაყოფილებელ ხარჯს, როგორიც არის: ხარჯი მუშათა ბინების პირობების გაუმჯობესებისა, რემონტისა, აღმშენებლობისა და სხვ. ბ) კულტურულ განმანათლებელი საჭიროების ხარჯს, როგორიც არის: სკოლების დამატებითი ხარჯი, ბიბლიოთეკებისა, სამკითხველოებისა, კლუბებისა და სხვ. შენახვა, სტიპენდიის მიცემა სასწავლებელში მივლინებული მუშებისათვის, ბავშთა ბაგისათვის გაწეული ხარჯი და სხვ.; გ) მუშათა კვების გაუმჯობესების ხარჯი, როგორიც არის: ხარჯი სასადილოებისათვის, საჩაიებისათვის, მებოსტნეობის განვითარებისათვის და სხვ..

6. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან გამოიყოფა განსაზღვრული ნაწილი, რაც გაცემულ იქნება გრძელვადიან შეღავათიან სესხად მუშათა ბინების კოოპერატიული აღმშენებლობის საქმისთვის; დაბრუნებული სესხი და მისი პროცენტი გადადის მუშათა ბინების აღმშენებლობის ფონდში.

მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან აღნიშნული მიზნისათვის გამოყოფილი ნაწილის რაოდენობა განისაზღვრება ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს და რესპუბლიკათა ეკონომიური საბჭოების მიერ—კუთვნილებისამებრ.

7. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების რესპუბლიკანური ფონდის თანხას დახარჯავს განსაკუთრებული კომისია, რომელიც შესდგება სათანადო რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, ეკონომიური საბჭოს და პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წარმომადგენელთაგან. კომისია გამოიყენებს პროფ. კავშირთა საბჭოს აპარატს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ამიერკავკასიის ფონდის თანხას დახარჯავს განსაკუთრებული კომისია, რომელიც შესდგება ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს, ა/კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და ა/კ. პროფ. კავშირთა საბჭოს წარმომადგენელთაგან.

9. ფონდის თანხა ინახება ერთ-ერთ სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებაში.

10. ანარიცხის გადარიცხვა მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდში დაიწყება 1923—1924 სამეურნეო წლიდან.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს მდივნის თანამდ. დრ. აღმ. **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 777 №-ში 1925 წ. იანვრის 13-ს.

---

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

1925 წ. იანვრის 5.

**334. სამხედრო-საზღვაო ქონების გაქირავების შესახებ.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

გამოქვეყნებულ იქნეს ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. დეკემბრის 12-ს შემდეგი დადგენილება „სამხედრო-საზღვაო" ქონების გაქირავების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

---

# დადგენილება ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახ. კომ. საბჭოსი.

**სამხედრო-საზღვაო ქონების გაქირავების შესახებ.**

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. უფლება მიეცეს სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატს გააქირაოს ხოლმე მის გამგებლობაში ქონებული სამხედრო-საზღვაო ქონება თანახმად ქო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნების ქირავნობის შესახებ არსებულ კანონებისა, რამდენადაც ამა დადგენილებიდან სხვა რამ არა გამომდინარეობს.

2. ქირავნობის საგნად შეიძლება იყოს მარტოოდენ ქვემოდ დასახელებული ქონება, რაც სამხედრო-საზღვაო კომისარიატის მიერ დამტკიცებული სიით მიწერილია პორტისათვის შესანახად ჩაბარებულ კატეგორიებზე:

ა) ნავჭურჭლის კორპუსი, ნავჭურჭლის მექანიზმი და მისი სათადარიგო ნაწილები;

ბ) ცურვის საშუალებანი და მათი სათადარიგო ნაწილები;

გ) სახელოსნოების შენობები და ძირითადი ტანამედგარი [illegible]

გაქირავების დროს არ შეიძლება გადაეცეს მოქირავნეს სათბობი, საცხები და სხვ. მასალა, რაც ფლოტისათვის იქნება გაცემული.

3. გასაქირავებელი ქონება პირველ რიგში სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატმა უნდა შეაძლიოს სახელმწიფო სავაჭრო ფლოტს (მის ადგილობრივ სანაოსნო ორგანოს), რომელსაც თანაბარ პირობებში უპირატესი უფლება აქვს, სხვა მსურველებთან შედარებით, ქონების ქირავნობისა.

4. ქირავნობის ხელშეკრულობას, სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატის სახელით, დასდებს სათანადო პორტის უფროსი. ხელშეკრულობა ძალაში შედის იმ წესით დამტკიცების შემდეგ, რასაც დაადგენს ს. ს. რ. კავშირის რევოლიუციონური სამხედრო საბჭო, ს. ს. რ. კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

5. ქირავნობის ხელშეკრულობა, გაბათილების რიდით, ქმნილ უნდა იყოს წერილობით; მისი სანოტარო წესით დამტკიცება საჭიროებულო არ არის.

6. ხელშეკრულობას აუცილებლად დართული უნდა ჰქონდეს გაქირავებული ქონების ნუსხა და შეფასება. ნუსხა და შეფასება ხელშეკრულობის განუყოფელი ნაწილია.

7. ქირავნობის ვადა ხუთ წელს არ უნდა აღემატებოდეს.

**შენიშვნა.** ს. ს. რ. კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს უფლება აქვს ნება დართოს, რომ ხელშეკრულობა დადებულ იქნეს ვადით თორმეტ წლამდე.

8. ქონების, როგორც კაპიტალური, ისე მიმდინარე რემონტი შეადგენს მოქირავნის მოვალობას, უკეთუ ხელშეკრულობაში სხვა რამ არ არის დადგენილი.

9. გაქირავებული ქონების გადაკეთება ან ხელახლა გაწყობა არ შეიძლება, თუ არ იმ ორგანოს ნებართვით, რომელმაც ხელშეკრულობა დამტკიცა (მუხ. 4).

10. მოქირავნე მოვალეა თავისი ხარჯით დაახლოვეოს ნაქირავები ქონება სრულის თანხით გამქირავებლის სასარგებლოდ. სადასაზღვეო პოლისი გამქირავებელთან უნდა ინახებოდეს.

11. გამქირავებელს უფლება აქვს პერიოდულად მოახდინოს ხელმეორე ერ გაქირავებული ქონების მდგომარეობის გამოკვლევა.

12. ქონების გადაქირავება შეიძლება მარტოოდენ იმ ორგანოს ნებართვით—თვითეულ შემთხვევაში ცალკე,—რომელმაც ხელშეკრულობა დამტკიცა (მუხ. 4); თანაც დაცულ უნდა იქნეს მე-3 მუხლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. უკეთუ აღიძვრის საომარი მოქმედება ან გამოცხადებულ იქნება მობილიზაცია, ქირავნობის ხელშეკრულობა, გამქირავებლის მოთხოვნით, დაუყოვნებლივ მოშლილ უნდა იქნეს და გაქირავებული ქონება მთლად გამქირავებელს დაებრუნოს.

14. ყველაფერი, რითაც-კი ქონება გაუმჯობესებულ იქნება მოქირავნის მიერ, ხელშეკრულობის მოსპობის შემდეგ, უსასყიდლოთ გადავა გამქირავებლის ხელში, უკეთუ ხელშეკრულობაში სხვა რამ არ იქნება დადგენილი.

15. საქირავნო სასყიდელი მოქირავნეს ხაზინის შემოსავალში შეაქვს.

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. კალინინი.**

ს. ს. რ. კავშირის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ა. რიკოვი.**

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. ენუქიძე.**

მოსკოვი, კრემლი 1924 წ. დეკემბრის 12.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 781 №-ში 1925 წ. იანვრის 17-ს.

---

# დადგენილება № 1 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1925 წ. იანვრის 7.

## 335. არა-სრული თვისათვის სამუშაო ხელფასის გამოანგარიშების წესის შესახებ.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს: გავრცელებულ იქნეს მთლად ამიერკავკასიის ფედერაციაზე ს. ს. რ. კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1924 წ. ნოემბრის 14-ს თარიღითა და 467/439 №-რით გამოცემული განმარტება: „არა-სრული თვისათვის სამუშაო ხელფასის გამოანგარიშების წესის შესახებ.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარი **ს. იაკუბოვი.**
სატარ.-საკონფლ. განყოფილების გამგის მაგიერ. **მ. ლეინი.**

# განმარტება ს. ს. რ. კავშირის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1924 წ. ნოემბრის 14, № 467/439.

## არა-სრული თვისათვის სამუშაო ხელფასის გამოანგარიშების წესის შესახებ.

ს. ს. რ. კავშირის შრომის კომისარიატი განმარტავს, რომ დროებითი შრომის სასყიდლის გასაცემად სამუშაო ხელფასი არა-სრული თვისათვის გამოანგარიშებულ უნდ› იქნეს შემდეგ საფუძველზე:

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ის პირი, რომელიც სამსახურში თვის განმავლობაში 15 დღეზე ნაკლებ ხანს იმყოფება, სამუშაო ხელფასს მიიღებს თავისი თვიური ჯამაგირის $^1/_{24}$ თვითეული ფაქტიურად ნამუშევარი დღისათვის.

2. ის პირი, რომელიც სამსახურში თვის განმავლობაში 15 ან 15 საკალენდრო დღეზე მეტ ხანს იმყოფება (ხოლო ნაკლებ სრული საკალენდრო თვისა), სამუშაო ხელფასს მიიღებს: 15 დღისათვის თავისი თვიური ჯამაგირის ნახევარს, ხოლო შემდგომი დღეებისათვის—ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული წესისამებრ, იმ პირობით-კი, რომ საერთო თანხა თვიურ გასამრჯელოს არ აღემატებოდეს.

ს. ს. რ. კავშირის შრომის სახალხო კომისარი **შმიდტი**.

შრომის სახალხო კომისარიატის სტატარიფო-საკონფ.
განყოფილების გამგის მაგიერ **ვუნდერლიხი**.

შეთანხმებულია სრ. რუს. პრ. კავშ. ცენტრალურ
საბჭოსთან **ვლადიმიროვი**.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 781 №-ში 1924 წ. იანვრის 17 ს.

---

# განმარტება ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1925 წ. იანვრის 16.

**336. შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხლის „ე" პუნქტისა და 68 მუხლის შეფარდების წესის შესახებ.**

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1923 წლის ივლისის 2-ს თარიღით გამოცემული განმარტებისა და 1924 წ. ივლისის 23-ს თარიღითა და 106 №-რით გამოცემული (ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში მოქმედ შრომის კანონდებულებათა კრებული გვ. 100) დადგენილების შესაცვლელად—ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ამყარებს შემდეგ წესს შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხლის „ე" პუნქტისა და 68 მუხლის შეფარდებისათვის:

1. დამქირავებელს უფლება აქვს შეაჩეროს მშრომელისათვის სათანადო გასამრჯელოს მიცემა, ვიდრე ძალაში შევიდოდეს გამამართლებელი განაჩენი ან დადგენილება საქმის მოსპობის შესახებ, შემდეგ შემთხვევაში:

ა) იმ დროისათვის, რომლის განმავლობაშიაც მშრომელი დატუსაღებული იქნება სამართალში მიცემის გამო, აგრეთვე დატუსაღებული იქნება ადმინისტრიტიულის წესით

ბ) იმ დროისათვის, რომლის განმავლობაშიაც იგი სასამართლო-საგამომძიებლო ხელისუფლების დადგენილებით ჩამოშორებულ იქნება სამუშაოსაგან.

**შენიშვნა.** აღნიშნულ შემთხვევებში შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის თანხმობა—გასამრჯელოს მიცემის შეჩერებაზე—საჭირო არ არის.

2. დამქირავებელს უფლება აქვს, საქმის სარგებლობისათვის, ჩამოაშოროს მშრომელი სამუშაოს, გასამრჯელოს მიცემის შეჩერებით, უკეთუ მას მიისწრებენ სააშკარაოდ ისეთი, სისხლის სამართლით დასასჯელი, ქმედობის ჩადენის დროს, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია მისვე სამუშაოსთან, ან უკეთუ თითონ იგი გამოტყდება ასეთი ქმედობის ჩადენაში. ამისთანა შემთხვევებში სამუშაოსაგან ჩამოშორება და გასამრჯელოს მიცემის შეჩერება წინასწარ შეთანხმებულ უნდა იქნეს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიასთან და იმ ვადით, ვიდრე საკითხი სასამართლოს წესით გადაწყდებოდეს.

**შენიშვნა.** სამუშაოსაგან ჩამოშორება დამქირავებლის მიერ იმ მშრომელისა, რომელიც ისეთს სისხლის სამართლით დასასჯელ ქმედობას ჩაიდენს, რაც მის სამუშაოსთან დაკავშირებული არ არის, არ შეიძლება თვინიერ სასამართლო საგამომძიებლო ხელისუფლების მოთხოვნისა.

3. უკეთუ გამამართლებელი განაჩენი იქნა გამოტანილი ან საქმე მოისპო იმ პირის შესახებ, რომელიც, მე-2 მუხ. წესისამებრ, დამქირავებლის მიერ სამუშაოსაგან იყო ჩამოშორებული, დამქირავებელი მოვალეა სრულიად გადაუხადოს მას გასამრჯელო მთლად იმ დროისათვის, რაც გაიელის გასამრჯელოს მიცემის შეჩერების მომენტიდან გამამართლებელი განაჩენის გამოტანამდე ან საქმის მოსპობამდე. ამას გარდა, დამქირავებლის მოთხოვნით სამუშაოსაგან ჩამოშორებულ პირს ხელახლა უნდა მიეცეს წინანდელი სასყიდლისა და კვალიფიკაციის თანაბარი სამუშაო, თუნდაც იგი ორი თვის გასვლის შემდეგაც დაბრუნდეს.

4. უკეთუ გამამართლებელი განაჩენი იქნება გამოტანილი ან ბოსპობილ იქნება საქმე 1-ლ მუხ. აღნიშნული იმ პირის შესახებ, რომელიც დატუსაღებულ ან სამუშაოსაგან ჩამოშორებული იყო სისხლის სამართლით დასასჯელი ქმედობის ბრალდებისათვის, რაც უშუალოდ დაკავშირებულია მის სამუშაოსთან,— დამქირავებელი მოვალეა გადაუხადოს მას გასამრჯელო არა უმეტეს ორი თვისა დატუსაღებისა ან სამუშაოსაგან ჩამოშორების მომენტიდან.

უკეთუ ის ქმედობა, რასაც სასამართლო ან ადმინისტრატიული ორგანო ხსენებულ პირს ბრალად უთვლიდა, უშუალოდ დაკავშირებული არ იყო მის სამუშაოსთან, დამქირავებელი, შემფასებელ-საქონფლიქტო კომისიის თანხმობით, შეიძლება განთავისუფლებულ იქნეს გასამრჯელოს მიცემისაგან აგრეთვე იმ პირველი ორი თვისათვის, რაც მშრომელი სამუშაოზე არ იმყოფებოდა.

5. უკეთუ სასამართლოს განაჩენი გამამტყუნებელია ან სასჯელი ადმინისტრატიული წესით არის დადებული, გასამრჯელო გაცდენილი დროისათვის არ უნდა იქნეს გადახდილი. წესი ესე შეფარდებულ უნდა იყოს იმ შემთხვევისათვის, როდესაც ჩადენილია სისხლის სამართლით დასასჯელი ქმედობა ან მცირე დანაშაული, სულ ერთია დაკავშირებული იქნება იგი სამუშაოსთან თუ არ იქნება დაკავშირებული.

6. შრომის ხელშეკრულობის მოშლა, საკითხის შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში განუხილველად და გასაშვები დახმარების მიუცემლად, შეიძლება მარტოოდენ ორი თვის ვადის გასვლის შემდეგ იმ მომენტიდან, როცა მშრომელი დატუსაღებულ ან დაპატიმრებულ იქნა ან და სამუშაოსაგან ჩამოშორებული სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოების მოთხოვნით, აგრეთვე გამამტყუნებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაჩენის (ხოლო არა-ადმინისტრატიული სასჯელის) კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, თუნდაც ეს ორი თვის ვადაზე ადრე მოხდეს.

7. ტუსაღად ყოფნა ან სამუშაოსაგან ჩამოშორება ვერ შესწყვეტს იმ ვადის დენას, რაც საჭიროა უმუშევრობისათვის დახმარების მიღების უფლების დასამყარებლად, თანახმად არსებული წესებისა, ხოლო იმ შემთხვევაში-კი, უკეთუ გამოტანილ იქნა გამამართლებელი განაჩენი ან საქმე მოისპო.

ამიერკავკასიის შრომის
სახალხო კომისარი **ხ. იაკუბოვი.**
შრომის დაცვის განყოფილების გამგე **გოდაბრელიძე.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 783 №-ში 1925 წ. იანვრის 20-ს

---

# დადგენილება № 24 ამ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

(ვაჭრობისა და სავაჭრო პოლიტიკის მოწესრიგების სამმართველოსათვის).

1925 წ. იანვრის 10.

## 337. კეროსინის ცალობითი ფასის შესახებ.

შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ ამიერკავკასიის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მიერ 1924 წ. ივნისის 20-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 პუნქტის „გ" ლიტერის თანახმად ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის კომისიის მიერ მე-17 №-რით გამოცემული („ზარია ვოსტოკა"-ს 550 №-რი 1924 წ. აპრილის 13-სა) დადგენილების 1-ლი პუნქტ. „ზ" და „თ" ლიტერის შესაცვლელად დაწესებულ იქნეს საქართველოს ს. ს. რესპ. ტერიტორიაზე მომქმედ კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის შემდეგი უკიდურესი საგასაცემო ცალობითი ფასები:

### ა. ყველა მაზრაში, ტფილისისა და ბორჩალოს მაზრის გარდა.

იმ ადგილებში, რომელიც მდებარეობს უმახლობელესი სადგურის საბითუმო საგასაცემო პუნქტიდან—შემდეგ მანძილზე:

10 ვერსამდე—1 მან. 80 კაპ. ფუთზე (4,5 კაპ. გირვ.); 25 ვერსამდე—2 მ. ფუთზე (5 კაპ.); 50 ვერსამდე 2 მან. და 20 კაპ. (5,5 კაპ. გირვ.); 100 ვერსამდე და მეტ მანძილზე—2 მან. და 60 კაპ. ფუთზე (6,5 კაპ. გირვ.).

### ბ. ტფილისისა და ბორჩალოს მაზრაში.

იმ ადგილებში, რომელიც მდებარეობს უმახლობელესი სადგურის საბითუმო საგასაცემო პუნქტიდან შემდეგ მანძილზე: 10 ვერსამდე—1 მან. და 60 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუთზე (4 კაპ. გირვ.); 25 ვერსამდე—1 მან. და 80 კაპ. ფუთზე (4,5 კაპ. გირ.); 50 ვერსამდე—2 მან. ფუთზე (5 კაპ. გირვ.); 100 ვერსამდე და მეტ მანძილზე 2 მან. და 40 კაპ. ფუთ. (6 კაპ. გირვ.).

2. ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ყველა ადგილობრივმა ორგანომ საქართველოს ს. ს. რესპუბლიკაში უნდა იქონიოს მეთვალყურეობა ამა დადგენილების სისწორით შესრულებისათვის.

3. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს საქართველოს ს. ს. რ. სისლის სამართლის კოდექსით, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. შინა-ვაჭრ.
სახალხო კომისრის მოადგილე **გამყრელიძე.**

ვაჭრობის მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **სტეფანიანი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. შინა-ვაჭრობის
სახალხო კომისარიატის საქმეთა მმართველი **ეირანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 783 №-ში 1925 წ. იანვრის 20-ს.

---

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

1925 წ. იანვრის 19.

## 338. ლენინის გარდაცვალების დღეს სახელმწიფო დროშის დაწევის შესახებ.

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ლენინის გარდაცვალების დღეს—იანვრის 21-ს—მთლად ა/კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე დაწეულ იქნეს 10 წამით, 18 საათსა და 20 წამზე დაწყებული 18 საათსა და 30 წამამდე მოსკოვის დროით, ყველა სახელმწიფო დროშა, ა/კ. ს. ფ. ს. რ-სა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათა, ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებათა და ორგანოთა შენობებზე აღმართული.

დადგენილება ესე სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ტელეგრაფით.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 784 №-ში 1925 წ. იანვრის 21.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება ა/კ. ს. ფ. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატისა.

1924 წ. დეკემბრის 30.

**339. მოუსავლობისაგან დაზარალებულ მოსახლეობის საჭიროებისათვის შემოღებული ერთდროული გადასახადის განხორციელების ვადების განსაზღვრის შესახებ.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. დეკემბრის 22-ს დადგენილების მე-5 და მე-8 პ. პ. თანახმად ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი, შრომის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, ადგენს:

მოუსავლობისაგან დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებისათვის შემოღებული ერთდროული გადასახადის განსახორციელებლად დაწესებულ იქნეს შემდეგი ვადები:

გადასახადის შენაწერის განსაზღვრის დამთავრებისათვის—თებერვლის 15. გადასახადის გასტუმრებისათვის ყველა გადამხდელის მიერ, მუშათა მოსამსახურეთა და პენსიონერთა გამოკლებით—მარტის 15. მუშები, მოსამსახურენი და პენსიონერები გადასახადს სამს ვადაზე გადაიხდიან თანაბარ ნაწილებად, რაც მათ სამუშაო ხელფასიდან და პენსიიდან დაეჭირებათ 1925 წლის მარტში, აპრილში და მაისში.

გამოქვეყნებულია "ზარია ვოსტოკა"-ს 785 №-ში 1925 წ. იანვრის 22-ს.

---

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1925 წ. იანვრის 19.

**340. ლუდისა, თაფლისა, კვასისა, ხილეულისა და ხელოვნური მინერალური წყლის აქციზის შეცვლის შესახებ.**

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმ. კ-სა და სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. დეკემბრის 12-ს დადგენილების თანახმად და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მტკიცე სააქციზო განაკვეთის ჩერვონეცის ანგარიშში გამოხატვის თაობაზე—1923 წ. ნოემბრის 26-ს თარიღით გამოცემული (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კანონთა და განკ. კრებ. 1923 წ. მე—13 №-რი, მუხ. 248) დადგენილების მე IV კარის მე-3 მუხ., მე-V კარის მე-4 და 6 მუხ. შესაცვლელად და მე V კარის მე-7

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხ. გასაუქმებლად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. აქციზი ლუდზე დაწესებულ იქნეს ერთი მან. და სამოცდაათი კაპ. რაოდენობით ვედროზე ანუ თოთხმეტი კაპ. ლიტრზე.

2. თაფლისა, კვასისა, ხილეულობისა და ხელოვნური მინერალური წყლის უკიდურეს სანახევარწლო დასამზადებელ ნორმად ძირითადი პატენტის მიხედვით დაწესებულ იქნეს: პირველი ჯგუფის საწარმოთათვის—ორი ათასი ვედრო, მეორე ჯგუფის საწარმოთათვის—შვიდას ორმოცდათი ვედრო და მესამე ჯგუფისათვის—სამას სამოცდახუთმეტი ვედრო; თანაც ძირითადი პატენტის გამოსაღები გადახდილ უნდა იქნეს იმ რაოდენობით და იმ წესით, რაც დადგენილია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. ნოემბრის 26-ს დადგენილების მე-V კარის მე-5 მუხლში (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კან. და განკარგ. კრებ. 1923 წ. მე-13 №-რი, მუხ. 248).

3. დამატებითი საპატენტო გამოსაღები ამა დადგენილების მე—2 მუხ. აღნიშნული სასმელების დამზადებისათვის იმ ნორმაზე ზევით, რაც განსაზღვრულია ძირითადი პატენტით, შეტანილ უნდა იქნეს ხაზინაში წინდაწინვე შემდეგი რაოდენობით: პირველი ჯგუფის საწარმოსათვის ათას ვედროზე—ხუთას ოცი მან., მეორე ჯგუფის საწარმოსათვის ხუთას ვედროზე—ორას სამოცი მან., მესამე ჯგუფის საწარმოსათვის ორას ორმოცდაათ ვედროზე—ას ოცდაათი მან.

4. ამა დადგენილების სამოქმედოდ შემოღების ვადას განსაზღვრავს ა/კ. ს. ფ. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატი და ეს გამოცხადებულ იქნება ა/კ. ცენტრ. აღმ. კომ. და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. მაისის 7-ს დეკრეტში (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კან. კრებ. 1923 წ. მე-8 №-რი, მუხ. 93) აღნიშნულ ოფიციალურ ბეჭდვითი ორგანოებში.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებული კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 786 №-ში 1925 წ. იანვრის 24-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

1925 წ. იანვრის 19.

**341. ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროებში ქონებული სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა სახელდახელო ანგარიშების დოკუმენტების საღერბო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი **ადგენს:**

გამოქვეყნებულ იქნეს ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1925 წ. იანვრის 2-ს თარიღით გამოცემული შემდეგი დადგენილება—ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროებში ქონებული სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა სახელდახელო ანგარიშების დოკუმენტების საღერბო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ—ამიერკავკასიის სოც ფედ. საბჭ. რესპ. ტერიტორიაზე.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

---

# დადგენილება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სსხალხო კომისართა საბჭოსი.

**ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროებში ქონებული სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა სახელდახელო ანგარიშების დოკუმენტების საღერბო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.**

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო **ადგენენ:**

ნაცვლად საღერბო გამოსაღების გამონაკლისთა ნუსხის 52 §-სა (სახელმწიფო საღერბო გამოსაღების წესდების მე-2 დანართი – ს. ს. რ. კ-რის ც. ა. კ., ს. კ. ს. და შ. და თ-ს ს. „მოამბე“ 1923 წ. მე-5 №-რი, მუხ. 114), რაც გაუქმებულია ს. ს. რ. კ-ს ცენტრ. აღმ. კ-სა და სახ. კომის. საბჭოს 1924 წ. ივნისის 6-ს დადგენილებით (ს. ს. რ. კ-ს ც. ა. კ., ს. კ. ს. და შ. და თ-ს საბჭოს „მოამბე“ 1924 წ. მე-6 №-რი, მუხ. 195),—აღნიშნულ ნუსხაში მოთავსებულ იქნეს 52 §-ი შემდეგი რედაქციით:

„ § 52. ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროებში ქონებული სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა სახელდახელო ანგარიშების ყოველგვარი დოკუმენტი“

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ნ. ნარიმანოვი.**

ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ა. რიკოვი.**

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი
კომოტეტის მდივანი **ა. ენუქიძე.**

მოსკოვი—კრემლი. 1925 წ. იანვრის 2.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 786 №-ში 1925 წ. იანვრის 24-ს.

---

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1925 წ. იანვრის 19.

## 342. სათამაშო ქაღალდის წარმოებისათვის სახელმწიფო მონოპოლიის დაწესების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

გამოქვეყნებულ იქნეს ს. ს. რ. კავშირის ცანტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. აგვისტოს 1-ს შემდეგი დადგენილება: სათამაშო ქაღალდის წარმოებისათვის სახელმწიფო მონოპოლიის შემოღების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოსი.

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ყოველგვარი სათაშაშო ქაღალდის წარმოებისათვის დაწესდეს საერთო-საკავშირო სახელმწიფო მონოპოლია, რომელსაც განახორციელებს ს. ს. რ. კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

2. სათამაშო ქაღალდის მწარმოებელ საწარმოთა სამმართველო მოეწყობა კომერციულ ანგარიშზე მომქმედ სახელწიფო სამრეწველო საწარმოთა (ტრესტი) შესახებ 1923 წ. აპრილის 10-ს თარიღით გამოცემული (რუს. ს. ფ. ს. რ. კანონთა კრებ. 1923 წ. 29 №-რი, მუხ. 336) დეკრეტის საფუძველზე.

3. აკრძალულია იმ სათამაშო ქაღალდის ვაჭრობა, რაც დამზადებული იქნება ამა დადგენილების დარღვევით, აგრეთვე ნათამაშავი ქაღალდისა, უბანდეროლო ქაღალდისა და ისეთი ქაღალდის ვაჭრობა, რომელსაც გარსი ან ბანდეროლი დაზიანებული ექნება.

4. საზღვარგარეთიდან უცხოეთის წარმოების სათამაშო ქაღალდის შემოტანა ს. ს. რ. კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ნებადაურთველად აკრძალულია; ს. ს. რ. კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ ბანდეროლ-გადაუკვრელი უცხოეთის სათამაშო ქაღალდი ჩამორთმეულ იქნება კონფისკაციის წესით და გადაიცემა ს. ს. რ. კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის განკარგულებაში.

5. ამა დადგენილების წესებას დარღვევა დაისჯება მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლისამებრ.

6. ს. ს. რ. კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატს ნება ეძლევა გამოსცეს ინსტრუქციები და წესები ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. კალინინი.**

ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ა. რიკოვი.**

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. ენუქიძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1924 წ. აგვისტოს 1.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 789 №-ში 1925 წ. იანვრის 28-ს

# დადგენილება № 3 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1925 წ. იანვის 26.

**343. შრომის კანონთა კოდექსის 79 მუხ. შეფარდების წესის შესახებ.**

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე ს. ს. რ. კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის 1924 წლის დეკემბრის 18-ს თარიღისა და 488/44 №-რის განმარტება-შრომის კანონთა კოდექსის 79 მუხ. შეფარდების შესახებ.

ამიერკავკასიის შრომის
სახალხო კომისარი **ს. იაკუბოვი.**

შრომის სახ. კ-ის სატარიფო
განყოფილების გამგის მაგ. **ლეონი.**

---

# დადგენილება № 3 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1924 წ. დეკემბრის 18, № 488/44.

**შრომის კანონთა კოდექსის 79 მუხ. შეფარდების წესის შესახებ.**

ს. ს. რ. კავშირის შრომის სახალხო კომისარიატი განმარტავს:

შრომის კანონთა კოდექსის 79 მუხ. მოქმედება გავრცელდება აგრეთვე ამ მუშაზე და მოსამსახურეზე, ვინც არჩეულ იქნება დელეგატად რუსეთის კომუნისტური პარტიისა (ბ.) და რუსეთის ახალგაზრდათა ლენინის კომუნისტური კავშირის ორგანოების მიერ მოწვეულ ყრილობაზე და კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად, უკეთუ ეს ყრილობა და კონფერენცია მოწვეულ იქნება გუბერნიისაზე არა ნაკლები მასშტაბით.

ს. ს. რ. კავშირის შრომის
სახალხო კომისარი **შმიდტი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 789 №-ში 1925 წ. იანვრის 28.

---

# დადგენილება აკ. ცენტრალური აღმას. კომიტეტისა და აკ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1925 წლის იანვრის 19.

**344. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში საზღვარგარეთიდან სავალიუტო ფასეულობის შემოტანისა და გატანის წესის შესახებ.**

ამიერკავკასიის რესპუბლიკათა საკავშირო საბჭოს მიერ საზღვარგარეთ უცხოეთის ვალიუტისა და სავალიუტო ფასეულობის გატანის წესის შესახებ 1922 წლის ოქტომბრის 21-ს თარიღითა და 50 №-ით გამოცემული დადგენილების (ა)კ. ს. ს. რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს კანონთა და განკარგ. კრებული 1923 წ. № 6, მუხ. 2) გასაუქმებლად, ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წ. იანვრის 29 თარიღითა და 3 №-ით გამოცემული დადგენილების (ამიერკავკასიის ს. ფ. საბჭ. რესპუბლიკის კანონთა და განკარგ. კრებული 1923 წ., № 1, მუხ. 3) მე-2 მუხლის იმ ნაწილის გასაუქმებლად, რომელიც შეეხება საბაჟო დაწესებულებებში უცხოეთის ვალიუტისა და სავალიუტო ფასეულობის გაშვების წესს, და ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სავალიუტო ოპერაციების შესახებ 1923 წ. აპრილის 23-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის (ამიერკავკასიის სოც. ფ. ს. რესპუბლიკის კანონთა და განკარგ. კრებული 1923 წ., № 7, მუხ. 91) მე-6 მუხლის შესაცვლელად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო **ადგენენ**:

1. დაუბრკოლებლად და თვინიერ განსაკუთრებული ნებართვისა შეიძლება შემოტანილ იქნეს საზღვარგარეთიდან ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის ფარგლებში, თანხის განუსაზღვრელად, უცხოეთის ვალიუტა მეტალისა და ქაღალდისა, ს. ს. რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო ბანკის ბანკოტები (ჩერვონცები) და საბჭოთა ფული (ხაზინის ბილეთი, ვერცხლისა და სპილენძის ფული და ხურდა ბონი), თამასუქი, ჩეკი და გადასაგზავნი ბარათი, რაც გამოწერილი იქნება უცხოეთისა ან საბჭოთა ვალიუტად, ფასიანი ქაღალდი, რომლის ხმარებაც ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ტერიტორიაზე ნებადართულია მთავრობის მიერ, აგრეთვე ოქრო—ფულად, ზოდებად და ნაკეთობად, ვერცხლი—ზოდებად და ნაკეთობად, ძვირფასი თვალი და სხვა სავალიუტო ფასეულობა და ფულადი დოკუმენტი.

**შენიშვნა.** მეფის დროს მოჭრილი ვერცხლის ფული—საბანკო და ხურდა შეიძლება შემოტანილ იქნეს მარტოოდენ ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული ნებართვით.

2. ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის ფინანსთა სახ. კომისარიატს უფლება ეძლევა დაადგინოს ხოლმე, რომ შეზღუდულ იქნეს ამ თუ იმ სახის ვალიუტის ან სავალიუტო ფასეულობის შემოტანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. საზღვარგარეთ წამსვლელ პირს ნება ეძლევა თავისუფლად გაიტანოს უცხოეთის ვალიუტა, ან ვალიუტად გამოწერილი გადასაგზავნი ბარათი, ჩეკი, თამასუქი, აგრეთვე ფასიანი ქაღალდი, რაც მთავრობის მიერ ნებადართულია სახმარებლად ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ტერიტორიაზე, პატიოსანი მეტალი ზოდებად და ნაკეთობად და ძვირფასი თვალი—საერთო ღირებულებით—სამას მანეთამდე თვითეული პირისათვის და, გარდა ამისა, ოჯახის თვითეული წევრისათვის, რომელიც ოჯახის პატრონის პასპორტით მიდის,—ას ორმოცდაათ მანათამდე.

**შენიშვნა.** იმ შემთხვევაში, როდესაც წამსვლელ პირზე ვრცელდება საამისოდ დადებული განსაკუთრებული საერთაშორისო შეთანხმება, მას შეეფარდება აღნიშნული შეთანხმებით განსაზღვრული ნორმები.

4. ა/კ. ფინანსთა სასალხო კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ საგალიუტო თათბირს უფლება აქვს, პატივსადებ შეშთხვევაში და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისრიატის დასტურით, ნება დართოს მე-3 მუხლში აღნიშნულ ნორმაზე მეტი სავალიუტო ფასეულობის საზღვარგარეთ გადაგზავნა და გატანა.

5. ს. ს. რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო ბანკის ბანკნოტებისა (ჩერვონცების) და საბჭოთა ფულისა და აგრეთვე საბჭოთა ვალიუტად გამოწერილი თამასუქისა და სხვა სავალო ვალდებულების საზღვარგარეთ გატანა შეიძლება ნებადაურთველად და თანხის ჯანუსაზღვრელად.

6. აკრძალულია საზღვარგარეთ გატანა მეფის დროს მოჭრილი ოქროს და ვერცხლის ფულისა და აგრეთვე გაბათილებული ფასიანი ქაღალდებისა (აქცია, ობლიგაცია და სხვა პროცენტიანი ქაღალდი, დაზღვევის პოლისი და სხვ).

7. სავალიუტო ფასეულობის საზღვარგარეთ გადაგზავნა და ბარათით გადაგზავნა (მუხ. 3) მოხდება ს. ს. რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო ბანკის ფილიალების (ამიერკავკასიაში) მეშვეობით ან სხვა საკრედიტო დაწესებულების მეშვეობით, რომელიც მოქმედებს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე და რომელსაც უფლება აქვს აწარმოოს სათანადო ოპერაციები; ამ ფასეულობის საერთო ღირებულება თვეში ორას მანეთს არ უნდა აღემატებოდეს ოქროთი. ამ ნორმაზე მეტი ფასეულების გადაგზავნა შეიძლება ამიერკავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატთან არსებული განსაკუთრებული საგალიუტო თათბირის ნებართვით და ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისრის დასტურით, იმ პირობით კი, რომ წარდგენილ იქნეს გარანტია საზღვარგარეთიდან სათანადო ეკვივალენტის შემოტანისა ან დასამტკიცებელი საბუთი, რომ აღნიშნული ვალიუტა საჭიროა ზედნადები სავაჭრო ხარჯის დასაფარავად, საუწყებო მინდობილების შესასრულებლად და სხვ.

**შენიშვნა.** იმ პირს, რომელიც დროებით საცხოვრებლად შემოვა ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ტერიტორიაზე და თან შემოიტანს ან საკრედიტო დაწესებულების მეშვეობით მიიღებს უცხოეთის ვალიუტას,—ნება ეძლევა დაუბრკოლებლად გაიტანოს საზღვარგარეთ, ან გადაგზავნოს საკრედიტო დაწესებულების მეშვეობით შემოტანილი, ან მიღებული ვალიუტის თანაბარი რაოდენობის ვალიუტა ორი თვის განმავლობაში დღიდან მიღებისა, ან ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ტერიტორიაზე შემოსვლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. მე-3 მუხლში აღნიშნულ ნორმაზე მეტი სავალიუტო ფასეულობის საზღვარგარეთ გადაგზავნისა და ბარათით გადაგზავნის უფლება, როცა ოპერაცია სწარმოებს გადამგზავნელის ხარჯით და სახელით, ეძლევა, თვინიერ განსაკუთრებული ნებართვისა და თანხის განუსაზღვრელად, ს. ს. რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო ბანკის ფილიალებს (ამიერკავკასიაში) და აგრეთვე საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს (ამიერკავკასიაში), ხოლო წესი ამგვარი გადაგზავნისა და ბარათით გადაგზავნისა სხვა დაწესებულებათა და საწარმოთათვის, რომელთაც, წესდების ან არსებული კანონების თანახმად, უფლება აქვთ იმოქმედონ საგარეო ბაზარზე ან აწარმოონ უცხოთის ვალიუტის ოპერაცია,—მათ შორის ა/კ. ს. ფ ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომქმედ საკრედიტო დაწესებულებათა და შერეულ საზოგადოებათა ფილიალებისათვის,—განისაზღვრება საერთო საფუძველზე განსაკუთრებული სავალიუტო თათბირის მიერ ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისრის დასტურით.

9. კერძო პირს, რომელსაც კომერციული მიზნისათვის ეძლევა ნებართვა საზღვარგარეთ ვალიუტის გასატანად, ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ფინანსთა სახ. კომისარიატი გადაადგენენს, ხაზინის სასარგებლოდ, განსაკუთრებულ გამოსაღებს გასატანი თანხის 0,5% რაოდენობით.

10. ყველა ოპერაციებისათვის, რაც დაკავშირებულ იქნება სავალიუტო ფასეულობის გადაგზავნასთან და ბარათით გადაგზავნასთან, სახელმწიფო ბანკი და მე-7 მუხლში აღნიშნული სხვა საკრედიტო დაწესებულებანი ანგარიშგებას წარუდგენენ ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს. აღნიშნული ანგარიშგების წარდგენის ვადასა და წესს განსაზღვრავს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ფინანსთა სახ. კომისარიატი.

11. სავალიუტო ფასეულობის საზღვარგარეთ გატანა, უკეთუ ამა დადგენილების წესები დარღვეულ იქნება, დაისჯება სისხლის სამართლის წესით; უკანონოდ გატანილი სავალიუტო ფასეულობა ჩამორთმეულ იქნება საბაჟო ორგანოების მიერ კონფისკაციის წესით, როგორც კონტრაბანდა; ამასთანავე, უკეთუ აღნიშნული ფასეულობის (სახელობითი ჩეკი, ტრატტა, აკრედიტივი და სხვ.) რეალიზაცია შეუძლებელი იქნება, ფასეულობის გამტანს უნდა გადაეხდეს, ხაზინის სასარგებლოდ, ჯარიმა ფასეულობის ეკვივალენტის როოდენობისა ოფიციალური კურსის მიხედვით.

12. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ფინანსთა სახ. კომისარიატს დაევალება საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოსთან (ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში) ერთად გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 790 №-ში 1925 წლის იანვრის 29-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება აკ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1925 წლის იანვრის 19.

**345. საუბნო და სარაიონო (სავოლოსტო) აღმასრულებელი კომიტეტების საფინანსო-საგადასახადო ნაწილების შესახებ.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ და სამომქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება.

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა.

### საუბნო და სარაიონო (სავოლოსტო) აღმასრულებელი კომიტეტების საფინანსო-საგადასახადო ნაწილების შესახებ.

1. სავოლოსტო საბიუჯეტო მუშაობისა და სოფლის მოსახლეობაში გადასახადებისა და გამოსაღების აკრეფისათვის—სავოლოსტო და მისი თანაბარი აღმასრულებელი კომიტეტის შედგენილობაში მოეწყობა საფინანსო-საგადასახადო ნაწილი, რომელიც შესდგება სააღრიცხვო-საგადასახადო მაგიდისა და სავოლოსტო კასისაგან.

**შენიშვნა.** სავოლოსტო აღმასრ. კომიტეტს ეთანაბრება სარაიონო და საუბნო აღმასრ. კომიტეტი.

2. სავოლოსტო ბიუჯეტის სფეროში სააღრიცხვო-საგადასახადო მაგიდას დაეკისრება:

ა) აღნუსხოს ვოლოსტის შემოსავლის წყაროები;

ბ) შედგინოს ვოლოსტის ბიუჯეტი;

გ) აღნუსხოს ვოლოსტის ქონება და ფულადი ნატურალური შემოსავალი;

დ) გაუძღვეს ანგარიშწარმოების საქმეს და შეადგინოს, არსებული ფორმის მიხედვით, პერიოდული ანგარიშგება და წლიური ანგარიში სავოლოსტო ბიუჯეტის შესრულების შესახებ;

ე) გამოარკვიოს სავოლოსტო დაბეგვრის საგნები;

ვ) გამოიანგარიშოს იმ გადასახადებისა და გამოსაღების განაკვეთი, რაც უკლებლივ შედის სავოლოსტო აღმასრ. კომიტეტის სახსარში, შეჰკრიფოს იგი და გაუძღვეს საამისო ანგარიშწარმოებისა და ანგარიშგების საქმეს.

3. იმ სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების აკრეფის სფეროში, რაც სავოლოსტო აღმასრ. კომიტეტის სახსარში არ შედის, სააღრიცხვო-საგადასახადო მაგიდას დაეკისრება ის მოვალეობა, რაც გადასახადთა საქმეში დაკისრებული აქვს ვოლოსტის აღმასრ. კომიტეტს ფინანსთა სახ.

კომისარიატის კანონდებულებით, ინსტრუქციებით და განკარგულებებით; კერძოდ, დაეკისრება:

ა) შეადგინოს სასოფლო და სავოლოსტო სიები, როგორც დასაბეგრი საგნებისა, ისე ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადამხდელთა; გამოიანგარიშოს ამ გადასახადის განაკვეთი და შეადგინოს სავოლოსტო ჯუმლი, რომელსაც, სარაიონო ფინანსთა ინსპექტორის მეშვეობით, წარუდგენს დასამტკიცებლად სამაზრო საფინანსო განყოფილებას;

ბ) შეავსოს და დაჰგზავნოს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადამხდელთა საშენაწერო ფურცლები;

გ) აწარმოოს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადამხდელთა პირადი ანგარიშები;

დ) მისცეს დასკვნა იმ საჩივრების შესახებ, რასაც ცალკე გადამხდელნი ან მათი ჯგუფები შეიტანენ სამაზრო საგადასახადო ორგანოში სასოფლო სამეურნეო გადასახადის გამო;

ე) აღნუსხოს საშემოსავლო-ქონებრივი გადასახადის გადამხდელნი;

ვ) აღნუსხოს და შეამოწმოს ვოლოსტის სავაჭრო-სამრეწველო საწარმონი;

ზ) გაუძღვეს ანგარიშწარმოებისა და ანგარიშგების საქმეს გადასახადებიდან და გამოსაღებიდან სავოლოსტო აღმასრ. კომიტეტის სალაროში შესატანი ფულადი თანხების გამო;

თ) შეადგინოს იმ პირთა სია, რომლებზედაც ირიცხება სავოლოსტო აღმასრ. კომიტეტის სალაროში შესატანი გადასახადისა და გამოსაღების ნარჩენი;

ი) შეასრულოს სამაზრო საფინანსო განყოფილებისა და ფინანსთა ინსპექტორის დავალებანი გადასახადებისა და გამოსაღების საქმეში;

კ) გაუძღვეს მთლად საქმის წარმოებას, რაც დაკავშირებულ იქნება ვოლოსტის ფარგლებში გადასახადებისა და გამოსაღების განხორციელებასთან.

4. სავოლოსტო კასის მოვალეობაა: მიიღოს, შეინახოს, აღნუსხოს და დახარჯოს სავოლოსტო ბიუჯეტის თანხები.

5. საფოსტო კასას შეიძლება დაეკისროს,—სამაზრო საფინანსო განყოფილების განსაკუთრებული ნებართვით თვითეული სავოლოსტო აღმასრ. კომიტეტისათვის,—საღერბო, საკანცელარიო და სხვ. გამოსაღების ნიშნების გაყიდვა.

6. სახელმწიფო გადასახადისა, გამოსაღებისა და სხვა სახელმწიფო შემოსავლის თანხების მიღება და შენახვა სავოლოსტო კასას შეუძლიან მხოლოდ ფინანსთა სახ. კომისარიატის მიერ თვითეული სავოლოსტო აღმასრ. კომიტეტისათვის გაცემული განსაკუთრებული ნებართვით და განსაკუთრებულ დადგენილებათა საფუძველზე; მიღება და შენახვა ადგილობრივი ბიუჯეტის სხვა (არა ამათუ იმ სავოლოსტო აღმასრ. კომიტეტის) შემოსავლისა მოხდება მხოლოდ სამაზრო აღმასრულ. კომიტეტის განსაკუთრებულ დადგენილებათა საფუძველზე; როგორც პირველი, ისე მეორე თანხებისათვის სავოლოსტო კასა არის მხოლოდ სპეციალური ამკრეფი კასა.

7. საფინანსო-საგადასახადო ნაწილი მოქმედებს სამაზრო საფინანსო განყოფილების საერთო ხელმძღვანელობით და სავოლოსტო აღმასრ. კომიტეტის

პასუხისმგებლობით, რომელ აღმასრ. კომიტეტსაც აღნიშნული კასა ემორჩილება საერთო მმართველობის საქმეში.

8. სავოლოსტო აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარე არის განმკარგულებელი სავოლოსტო ბიუჯეტის კრედიტებისა.

9. საფინანსო-საგადასახადო ნაწილის უშუალო გამგებლობა და აგრეთვე პასუხისმგებლობა კასაში ხელთქონებული თანხების შენახვისათვის, სავოლოსტო თანხების სწორი დახარჯვისათვის და სხვა შემოსავალთა (შუხ. 5 და 6) თავის დროზე კუთვნილებისამებრ ჩაბარებისათვის, აგრეთვე მეთვალყურეობა ყოველგვარი შემოსავლის თავის დროზე და სრულად ჩაბარებისათვის და დამტკიცებული სავოლოსტო ბიუჯეტის სწორი შესრულებისათვის—დაეკისრება სავილოსტო აღმასრ. კომიტეტს ერთ-ერთ წევრს, რომელიც იქნება საფინანსო-საგადასახადო ნაწილის გამგე (იგივე ხაზინადარი) და რომელსაც დანიშნავს სავოლოსტო აღმასრ. კომიტეტი.

**შენიშვნა 1.** სავოლოსტო აღმასრ. კომიტეტის წევრი—საფინანსო-საგადასახადო ნაწილის გამგე—ცალკე იქნება დასახელებული სავოლოსტო აღმასრ. კომიტეტის არჩევის დროს.

**შენიშვნა 2.** სამაზრო საფინანსო განყოფილებას უფლება აქვს სამაზრო აღმასრ. კომიტეტის მეშვეობით გადააყენოს გამგე.

10. სავოლოსტო ბიუჯეტის შედგენა, დამტკიცება და შესრულება სწარმოებს სამაზრო საფინანსო განყოფილების ხელმძღვანელობით ადგილობრივ ფინანსების შესახებ გამოცემული დროებითი დებულებისა და ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქციების საფუძველზე.

11. სავოლოსტო კასა მოქმედებს ფინანსთა სახ. კომისარიატის წესებისა და ინსტრუქციების საფუძველზე; ეს წესები და ინსტრუქციები ადგილობრივ ორგანოებს ეძლევათ დადგენილი წესისამებრ.

12. იმ სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების სფეროში, რაც სავოლოსტო აღმასრ. კომიტეტის სახსარში არ ირიცხება, სავოლოსტო აღმასრ.-კომიტეტი საფინანსო საგადასახადო ნაწილის დარგში ადმინისტრატიულად ემორჩილება სამაზრო საფინანსო განყოფილებას და მოქმედებს რაიონის ფინანსთა ინსპექტორის უშუალო ხელმძღვანელობით და მეთვალყურეობით.

13. საფინანსო-საგადასახადო ნაწილის შედგენილობაში სავოლოსტო-საბიუჯეტო მუშაობის შესასრულებლად დაარსდება მოანგარიშის თანამდებობა, ხოლო საგადასახადო-საგამოსაღებო მუშაობის შესასრულებლად—საქმისმწარმოებლის თანამდებობა.

**შენიშვნა.** სავოლოსტო აღმასრ. კომიტეტს უფლება ეძლევა, უკეთუ საჭირო იქნება, სამაზრო აღმასრ. კომიტეტის ნებართვით და სამაზრო საფინანსო განყოფილების წარდგენით, გაადიდოს საფინანსო-საგადასახადო ნაწილის შტატი.

14. საფინანსო-საგადასახადო ნაწილის პირადი შედგენილობის შენახვა დაეკისრება ადგილობრივ ბიუჯეტს.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რეპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 791 № ში 1925 წ. იანვრის 30-ს.

---

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1925 წლის იანვრის 29

**346. სათამასუქო მორატორიუმის დამყარების წესის შესახებ**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

გამოქვეყნებულ იქნეს ს. ს. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სათამასუქო მორატორიუმის დამყარების წესის შესახებ 1924 წლის ნოემბრის 14-ს თარიღით გამოცემული შემდეგი დადგენილება.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

# დადგენილება საბჭოთა სოც. რესპ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტ. და სახ. კომისართა საბჭოსი.

**სათამასუქო მორატორიუმის დამყარების წესის შესახებ.**

საბჭ. სოც. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სათამასუქო მორატორიუმი, როგორც საერთო—მთლად ს. ს. რესპუბლიკების კავშირისათვის,—ისე ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ტერიტორიის ცალკე ნაწი-

ლებისათვის ან ცალკე საწარმოთათვის ან და საწარმოთა და პირთა კატეგორიებისათვის—შეიძლება დამყარებულ იქნეს მხოლოდ ს. ს. რესპუბლიკების კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით.

საბჭ. სოც. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. კალინინი.**
საბჭ. სოც. რესპუბლიკების კავშირის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ლ. კამენევი.**
საბჭ. სოც. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. ენუქიძე.**

მოსკოვი-კრემლი 1924 წ. ნოემბრის 14.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 791 №-ში 1925 წ. იანვრის 30-ს.

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრ. კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1925 წ. იანვრის 19.

**347. ხილეულ-ყურძნეულის სპირტის რეკტიფიკაციისათვის სახელმწიფო მონოპოლიის შემოღების შესახებ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ტერიტორიაზე.**

ამიერკავკასიის ცენტრალური ალმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ხილეულ-ყურძნეულის სპირტის რეკტიფიკაციის უფლება ეკუთვნის მარტოოდენ სახელმწიფოს—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში შემავალი ცალკე რესპუბლიკების სახით, და რეკტიფიკაცია სწარმოებს სახელმწიფო სარეკტიფიკაციო ქარხნებში.

**შენიშვნა.** კოოპერატიულ ორგანიზაციებს დარჩებათ უფლება აწარმოონ ხილეულ-ყურძნეულის ნედლი სპირტის რეკტიფიკაცია თავიანთ საკუთარ და ამ ჟამად იჯარით აღებულ ქარხნებში.

2. აღიკრძალება არყის ნაკეთობისა და ურეკტიფიკაციო სპირტიდან არყის დამზადება.

3. აღიკრძალება ხილეულ-ყურძნეულის ნედლი სპირტის გაყიდვა სასმელ და სხვა სავაჭრო ადგილას.

4. აღიკრძალება ხილეულ-ყურძნეულის ნედლი სპირტის ცივად დაწმენდილისათვის საწყობების გახსნა.

5. ყურძნის ღვინის გაუმჯობესებისათვის ნებადართულია მარტოოდენ რეკტიფიკაციაქმნილი ყურძნეულის სპირტის ხმარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ხილეულ-ყურძნეულის სპირტის წარმოება და რეკტიფიკაციაქმნილი ხილეულ-ყურძნეულის სპირტის სასმელების ვაჭრობა ნებადართულია ამიერკავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის მიერ დადგენილ წესების საფუძველზე.

7. გაუქმებულ იქნეს გაზ. „კომუნისტი"-ს 1924 წ. 127 №-ში გამოქვეყნებული საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მაისის 31-ს თარიღისა და 1-ლი №-რის დადგენილება და გაზ. „ხორურდაინჭაიასტან"-ის 1924 წ. ნოემბრის 18-ს თარიღის 263 №-ში გამოქვეყნებული სომხეთის სოც საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ნოემბრის 15-ს დადგენილება. მარტოოდენ დაწშენდილი ყურძნეულის არყის ხმარებისა და გატანის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრ. აღმ. კომიტეტის
თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცეტრ. აღმ. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 792 №-ში 1925 წ. იანვრის 31-ს.

---

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტისა და ამ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1925 წ. იანვრის 19.

## 348. ქალაქ ბათომში სავაჭრო-სამრეწველო სადგომებზე ადგილობრივი გადასახადის დაწესების შეხახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. შემოღებულ იქნეს ქალაქ ბათომში,—ბათომის მიდამო-ადგილების: „გოროდოკისა", ბარცხანასი და ჭაობის გამოკლებით,—1924-25 საბიუჯეტო წლისათვის განსაკუთრებული გადასახადი სავაჭრო-სამრეწველო სადგომებზე.

2. გადასახადის რაოდენობა დაწესდეს—25% საშუალო საიჯარო ფასისა,—რაც არ უნდა აღემატებოდეს დაქირავებული სავაჭრო-სამრეწველო სადგომის თვითეული კვადრატული არშინისათვის 1 მან. და 04 კაპ., იმის მიხედვით, თუ ქალაქის რომელ რაიონშია დასაბეგვრი სადგომი.

3. ცარიელ სავაჭრო-სამრეწველო სადგომს განსაკუთრებული გადასახადი არ დაედება.

4. აჭარისტანის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილმა ორგანომ უნდა გამოსცეს წესები ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვასტოკა"-ს 792 №-ში 1925 წ. იანვრის 31-ს.

---

# დადგენილება № 56 ა/კ. ს. ფ. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატისა.

1925 წ. იანვრის 24.

**349. ლუდისა, თაფლისა, კვასისა, ხილეულისა და მინერალური წყლის აქციზის შეცვლის თაობაზე ა/კ. ს. ფ. ს. რ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1925 წ. იანვრის 19-ს თარიღით გამოცემული დადგენილების სამოქმედოდ შემოღების შესახებ.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. ცენტრალური აღმარსრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ- იანვრის 19-ს დადგენილება—ლუდისა, თაფლისა, კვასისა, ხილეულისა და მინერალური წყლის აქციზის შეცვლის შესახებ—შემოღებულ იქნეს ყველგან ა/კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე—ლუდისათვის 1925 წ. თებერვლის 1-დან და თაფლისა, კვასისა, ხილეულისა და მინერალური წყალისათვის—1925 წ. აპრილის 1-დან.

**საფუძველი:** ა/კ. ს. ფ. ს. რ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილების (გამოქვეყნებულია „ზარია ვასტოკა"-ს 786 №-ში 1925 წ. იანვრის 24-ს) მე-4 პ.

ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო
კომისრის მოადგილე **გენკინი.**

საგადასახადო სამმართველოს უფროსის
მოადგილე **გურგენოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვასტოკა"-ს 792 №-ში 1925 წ. იანვრის 31.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 4 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა

1925 წ. იანვრის 28.

**350. სოციალური დაზღვევის საპენსიო და დახმარების ნორმების შესახებ.**

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ „სოციალური დაზღვევის საპენსიო და დახმარების ნორმების შესახებ“ 1924 წ. მაისის 30-ს თარიღითა და 97 №-რით გამოცემული დადგენილების 1-ლ მუხ. შესაცვლელად—ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის ზემოაღნიშნული—97 №-რის—დადგენილებით დაწესებული ზოლებრივი დანაწილება გაუქმებულ იქნეს 1925 წლის თებერვლის 1-დან და მე-2 ზოლის პენსიისა და დახმარების რაოდენობა გათანაბრებულ იქნეს პირველი ზოლისათვის დაწესებულ რაოდენობასთან.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო
კომისარი **ა. იაკუბოვი.**

სოციალური დაზღვევის მთავარი
სამმართველოს უფროსი **ა. იაშვილი.**

შეთანხმებულია: ამიერკავკასიის
პროფ. კავშირთა საბჭოს მდივანი **ვ. შვარცი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 792 №-ში 1925 წ. იანვრის 31-ს.

---

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა, პლეხანოვის პრ., № 91.

მთავარლიტი № 466 შეკ. № 5057/809 ტირაჟი 1200